საქართველოს მთავრობის

დადგენილება №424

2018 წლის 15 აგვისტო

ქ. თბილისი

„სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №308 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის დებულების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2013 წლის 29 ნოემბრის №308 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 02/12/2013, 010210040.10.003.017475) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული დებულების:

1. მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. სახელმწიფო რწმუნებულის – გუბერნატორის კანდიდატურების შერჩევისა და წარდგენის პროცედურას კოორდინაციას უწევს საქართველოს პრემიერ-მინისტრისადმი პირდაპირი დაქვემდებარების პრინციპით შექმნილი საქართველოს პრემიერ-მინისტრის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტი, შესაბამის სამინისტროებთან კონსულტაციის საფუძველზე.“.

2. მე-8 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ადმინისტრაციის მოხელეთა დამატებით საკვალიფიკაციო მოთხოვნებს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესითა და საქართველოს პრემიერ-მინისტრისადმი პირდაპირი დაქვემდებარების პრინციპით შექმნილ საქართველოს პრემიერ-მინისტრის რეგიონებთან ურთიერთობის დეპარტამენტთან შეთანხმებით ამტკიცებს სახელმწიფო რწმუნებული – გუბერნატორი.“.

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს 2018 წლის 26 ივლისიდან.

პრემიერ - მინისტრი **მამუკა ბახტაძე**